

ორცხალი ორგანიზმების სისხლძარღვებში ლაზერ-ინდუცირებული თრომბარმოქმნის მათემატიკური მოდელირება

თამაზ ობგაძე, ბესიკ ბაბალაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შესწავლილია დაზიანებული სისხლძარღვების კედლებზე წარმოქმნილი თრომბის დინამიკა, რომელიც ეყრდნობა არსებულ ექსპერიმენტებს. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე აგებულია შესაბამისი თანადობები და აქტერ გამომდინარე, აგებულია შესაბამისი მათემატიკური მოდელიც, რომელიც შეესაბამება თრომბის მოცულობის ცვლილების დინამიკურ სურათს.

საკვანძო სიტყვები: თრომბი, ფიბრინის ბადე, რეგრესიული ანალიზი, მოდელი.

1. შესავალი

ცოცხალი ორგანიზმების სისხლძარღვებში ლაზერ-ინდუცირებული თრომბწარმოქმნის პროცესს დიდი ყურადღება ეთმობა ამერიკისა და იაპონიის სამეცნიერო ცენტრებში, ასევე, სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო უნივერსიტეტის პატოფიზიოლოგიის კათედრაზე [1].


თრომბოზი, როგორც წესი, წარმოქმნება სისხლძარღვების კედლის დაზიანების გამო. ამიტომ, თრომბოზის წარმოქმნის მოდელირებისას, ექსპერიმენტებში, ცდილობენ დააზიანონ სისხლძარღვების კედელი ლაზერის ფოკუსირებული სხივით და აკვირდებიან ტრომბოზის განვითარების დანამიკას მიკროსკოპით. ექსპერიმენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოქმნილი ტრომბის ზრდა ხორციელდება სამ ეტაპად:

1. საწყისი სტადია, როცა ხორციელდება ტრომბოციტების ფირფიტების პირველადი ადგეზია დაზიანებული სისხლძარღვის კედელზე;

2. აგრეგაციის სტადია, როცა ხორციელდება ტრომბის ზრდა პირველად ტრომბოციტებზე სისხლიდან დალექტილი ახალი ტრომბოციტებითა და ფიბრინის ბადის წარმოქმნით;

3. საბოლოო სტადია, როცა სისხლძარღვის სანათური იკეტება, ან თრომბი წყდება სისხლძარღვის კედელს.

თუ, გავითვალისწინებთ ექსპერიმენტების შედეგებს [1], რომელიც მოყვანილია 1-ელ ნახაზზე, გვენება საშუალება შევამოწმოთ ჩვენ მიერ აგებული თეორიული მოდელები.



ნახ.1. თრომბის ზრდის სიჩქარის დამოკიდებულება სანათურში მოძრავი სისხლის სიჩქარეზე

ფენომენოლოგიური შესწავლისას, ბუნებრივია, შემოვიტარგლოთ თრომბოზის წარმოქმნის მეორე და მესამე სტადიით, ვინაიდან, პირველი სტადია განპირობებულია ლაზერის ურთიერთქმედებით სისხლძარღვის კედელთან.

თრომბოზის წარმოქმნის დინამიკის შესასწავლად საჭიროა თანმიმდევრობით ამოიხსნას რამდენიმე ამოცანა:

1. შესწავლილი იქნას ლაზერის ურთიერთქმედება სისხლძარღვის კედელთან;
 2. სისხლძარღვის კედლის ლაზერით დაზიანების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური შედეგების ანალიზი;
 3. დადგინდეს სანათურის ჰიდროდინამიკური მახასიათებლები, სისხლის შემადგენლობის ცვლილებისა და თრომბის წარმოქმნის დინამიკა;
 4. დადგინდეს თრომბოზის წარმოქმნის ურთიერთქმედების მექანიზმი ჰიდროდინამიკურ მახასიათებლებთან;
 5. განისაზღვროს თრომბოზის განვითარების მთლიანი დინამიკა და შედგეს შესაბამისი ჰიდროდინამიკური მოდელი.
- სანამ დავიწყებდეთ თრომბის ზოგადი დინამიკის მოდელირებას, შევისწავლოთ თრომბის დინამიკა ექსპერიმენტებზე (ნახ.1) დაყრდნობით.

2. ექსპერიმენტული წირის შესაბამისი თეორიული მრუდის აგება არაწრფივი დაპროგრამების მეთოდთ

თუ, მოვხსნით რიცხვით მნიშვნელობებს 1-ელი ნახაზის დამოკიდებულებიდან, შეგვიძლია შევადგინოთ მატრიცები

$$v := \begin{pmatrix} 0.25 \\ 0.35 \\ 0.5 \\ 0.75 \\ 1.25 \\ 1.5 \\ 1.75 \\ 2.75 \\ 3.35 \\ 4.25 \\ 4.72 \end{pmatrix}, \quad v := \begin{pmatrix} 13 \\ 63 \\ 90 \\ 110 \\ 100 \\ 85 \\ 80 \\ 63 \\ 40 \\ 38 \\ 37 \end{pmatrix}. \quad (1)$$

სადაც, პირველი მატრიცა შეესაბამება სანათურში სისხლის მოძრაობის სიჩქარეს ($\text{მმ}/\text{წ}$), ხოლო, მეორე მატრიცა - თრომბის ზრდის სიჩქარეს ($\text{ნმმ}/\text{წ}$). ვეძებოთ შესაბამისი დამოკიდებულება 1-ელი ნახაზიდან გამომდინარე, შემდეგი სახით:

$$VT(x) := (\alpha \cdot x^2 + \beta \cdot x + \varepsilon^2) \cdot e^{-\gamma \cdot x}, \quad (2)$$

მაშინ, შეგვიძლია Mathcad-ზე შევადგინოთ შესაბამისი პროგრამა:

$$vt(\alpha, \beta, \gamma, \varepsilon, i) := [\alpha \cdot (v_i)^2 + \beta \cdot v_i + \varepsilon^2] \cdot e^{-\gamma \cdot v_i}$$

$$f(\alpha, \beta, \gamma) := \sum_{i=0}^{10} (vt(\alpha, \beta, \gamma, \varepsilon, i) - v_i)^2$$

$$\alpha := 0.1 \quad \beta := 0.1 \quad \gamma := 0.1 \quad \varepsilon := 0.1$$

Given

$$R := \text{Minimized}(f, \alpha, \beta, \gamma, \varepsilon)$$


$$R = \begin{pmatrix} -12.059 \\ 152.27 \\ 0.603 \\ 4.702 \end{pmatrix}$$

$$\alpha := R_0 \quad \beta := R_1 \quad \gamma := R_2 \quad \varepsilon := R_3$$

მაშინ, ადგილად მივიღებთ შესაბამის ანალიზურ დამოკიდებულებას,

$$VT(x) := (\alpha \cdot x^2 + \beta \cdot x + \varepsilon^2) \cdot e^{-\gamma \cdot x}, \quad (3)$$

რაც გამოსახულია მე-2 ნახაზზე:



ნაზ.2. ექსპერიმენტული და თეორიული დამოკიდებულებები თრომბის წარმოქმნისა და სანათურმში სისხლის მოძრაობის სიჩქარეებს შორის

როგორც ნახაზიდან ჩანს, თეორიული გრაფიკი საქმაოდ კარგად უახლოვდება ექსპერიმენტულს. თუმცა, ეს მოდელირების მხელოდ ესკიზური ვარიანტია. განვიხილოთ ტრომბოწარმოქმნის პროცესი უფრო დეტალურად.

3. თრომბის ზრდის მათემატიკური მოდელირება

როგორც ცნობილია, თრომბები წარმოქმნება დაზიანებული სისხლძარღვების კედლებზე. სისხლი ცდილობს შეავსოს კედლების დაზიანებული ნაწილი თრომბოციტების ადგეზით და დაამაგროს ისინი ფიბრინის ბადით. შემდგომში ხდება ტრომბოციტების აგრეგაცია და თრომბის მოცულობა ნელ-ნელა იზრდება. ეს პროცესი შეიძლება გამოვსახოთ მათემატიკური მოდელის საშუალებით

$$\frac{dM}{dt} = f(M, t), \quad (4)$$

სადაც $f(M, t)$ - თრომბის M - მოცულობის ზრდის სიჩქარის კანონია, რომელიც განისაზღვრება რეგრესიული ანალიზის ბაზაზე,

$$f(M, t) = -\frac{1}{\gamma} \cdot M - \alpha \cdot (\gamma \cdot t + 2) \cdot e^{-\gamma \cdot t}. \quad (5)$$

მაშინ გვექნება, რომ

$$M = (\alpha \cdot t^2 + \beta \cdot t + \varepsilon^2) \cdot e^{-\gamma \cdot t}. \quad (6)$$

რაც შეესაბამება ექსპერიმენტალურ (3) შედეგს.

4. დასკვნა

ამრიგად, ჩვენ ავაგეთ ექსპერიმენტალური მონაცემების შესაბამისი თეორიული მრუდი და ავაგეთ შესაბამისი მათემატიკური მოდელიც შეესაბამება ამ ექსპერიმენტებს.

ლიტერატურა:

1. Кондратьев А.С., Филиппов М.Э. Математическое моделирование реальных процессов, Компьютерные методы в образовании, №1, 1999

MATHEMATICAL MODELLING LASER-INDUCED TROMBODYNAMICS IN BLOOD VESSELS OF LIVE ORGANISMS

Obgadze Tamaz, Babalashvili Besik
Georgian Technical University

Summary

In work it is studied dynamics of the blood clots arising on damaged walls of blood vessels which is based on existing experiments. On a basis regress the analysis corresponding parities and mathematical model which corresponds to a dynamic picture of growth of volume of a blood clot are under construction.

МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЛАЗЕР-ИНДУЦИРОВАННОГО ТРОМБООБРАЗОВАНИЯ В КРОВЕНОСНЫХ СОСУДАХ ЖИВЫХ ОРГАНИЗМОВ

Обгадзе Т., Бабалашвили Б.

Грузинский Технический Университет

Резюме

В работе изучена динамика тромбов, возникающих на повреждённых стенках кровеносных сосудов, которая основывается на существующих экспериментах. На основе регрессионного анализа строятся соответствующие соотношения и математическая модель, которая соответствует динамической картине роста объёма тромба.